დეკანის ბრძანება №07/2018

თსუ რექტორის 2018 წლის 22 თებერვლის N31/01-01 ბრძანების საფუძველზე აკადემიკოს ევგენი ხარაძის სახელობის სტიპენდიის კანდიდატთა შერჩევის შესახებ

1. თსუ რექტორის 2018 წლის 22 თებერვლის N31/01-01 ბრძანების თანახმად აკადემიკოს ევგენი ხარაძის სახელობის სტიპენდიის კანდიდატთა შესარჩევად საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 6 მარტიდან 2018 წლის 12 მარტის ჩათვლით.
2. საბუთების მიღება იწარმოებს ფაკულტეტის კანცელარიაში (თსუ მეორე კორპუსი, ოთახი N 110)
3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

    1. განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
    2. ამონაწერი სტუდენტის ბარათიდან;
    3. ცნობა სტუდქალაქიდან.

4. საკონკურსო დოკუმენტაცია განსახილველად გადაეცეს საკონკურსო კომისიას.
5. საკონკურსო კომისიის მუშაობის ვადები განისაზღვროს 13 მარტიდან 19 მარტის ჩათვლით.

რამაზ ხომერიკი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი,
ასოცირებული პროფესორი

05.03.2018